ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის,
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს

განცხადება

წერილი N 60-0122153254-ის თანახმად, არ მომენიჭა საპროექტო ტერიტორიაზე ხემყრალას (#4-D=24) გადარგვის უფლება. ვინაიდან და რადგანაც, არსებული ხე-მცენარე მდებარეობს ნაკვეთის ცენტრში, ხელს უშლის პროექტის განხორციელებას. ამავდროულად, ნაკვეთის ფორმის და ტერიტორიაზე არსებული არახელსაყრელი რელიეფის გამო, ვერ ხერხდება საპროექტო შენობის ადგილმდებარეობის ცვლილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მომცეთ ზემოთხსენებული დაბალი ღირებულების მცენარის მოჭრის უფლება საკომპენსაციო თახნის გადახდით.

საქართველო

ქ. თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდ., ვახუშტის სახ. ხიდის ჩასავლელთან

გიორგი საკაძის II გას. №11

ს/კ 01.10.13.016.150

მესაკუთრე: შპს "აკვარიუმი 2010" (404854582)

1323 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

საცხ. შენობა
არასაცხ. შენობა
ფარდული
მშენებარედანგრ. შენობა
აუზი
ხეები
ვაზი
გარე განათება
ხის ღობე
სეტკის ღობე
ქვის კედელი
კედელი
ფლატე
რკინიგზა
სამეთვალყურეო ჭები
ონკანი
ანძა, ანტენა
ბოძები
რეზერვუარი
თხრილი
ტრანსფორმატორი, ელ. ქვესადგური
ქვის ღობე
ლითონის ღობე
მთავარი იზოჰიფსი
იზოჰიფსი სიმაღლით
ხაზოვანი საკარო რეესტრის მონაცემების მიხედვით
მიწის ნაკვეთის საზღვარი
მეზობლის მიწის ნაკვეთის საზღვარი
ელ. ხაზი
გაზი
ელ. გადამცემი ხაზი
მილი
ქარსაცავი ზოლი

შენიშვნა: მიწის სამუშაოების შესრულება უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან

შპს " აერ ქონსალტინგ"
ltd "AR consulting"
ქ. თბილისი, ბროსეს ქ. №4. ტელ. 5(55)663250
5(99)974595
ar@ararchitecture.info

დირექტორი:		გ. ჯანიაშვილი
ახომა:		ბ. სამხარაძე
დახაზა:		თ. ალთუნაშვილი
დამკვეთი:		

მასშტაბი: 1:500

14.12.2021წ.

ი/მ "გიორგი ჭივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი **24 იანვარი 2022 წ.**

მისამართი:

ქალაქი თბილისი, ბაქტეროფაგის მიმდებარედ, ნაკვეთი 16/098 ; ქალაქი თბილისი, ბაქტეროფაგის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ბაქტეროფაგის ტერიტორიის სამხრეთ -დასავლეთით, ვახუშტის სახელობის ხიდის ჩასასვლელთან;' ქალაქი თბილისი, გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი, N 11;

საკადასტრო კოდი:

01.10.12.016.150;

ფართობი:

1323.00 კვ.მ;

მესაკუთრე:

შპს „აკვარიუმი 2010", ID ნომერი:404854582

,

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი.

საკვლევი ობიექტის რელიეფის მეტი ნაწილი ვაკეა , ნაკლები დამრეცი ფერსია. აღწერა-შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

ცხრილი№ 1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ-დან 10სმ-ზე) სმ	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ატამი (Prúnus pérsica)	ხე	5	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
2	ლეღვი (Ficus carica)	ხე	14	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
3	ლეღვი (Ficus carica)	ხე	15	ჯანსაღი	ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
4	ხემყრალა (Ailanthus altissima)	ხე	24	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
5	აკაცია (Robinia pseudoacacia)	ხე	9	ჯანსაღი	მრავლობითი ნაბარტყით ექვემდებარება გადარგვას
6	ხემყრალა (Ailanthus altissima)	ხე	14	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
7	ხემყრალა (Ailanthus altissima)	ხე	13	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
8	ხემყრალა (Ailanthus altissima)	ხე	17	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 8

ხილკენკროვანი ხე–მცენარე : 3

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარე : 8

ზეხმელი ხე–მცენარე : -

ხმობადი ხე–მცენარე : -

კერძოდ:

იხ.ცხრილი№ 1

1.დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ხე-მცენარე 5 ძირი:

4 ძირი(№ 4, 6, 7, 8) - ხემყრალა (Ailanthus altissima);

1 ძირი(№ 5) -აკაცია (Robinia pseudoacacia).

2 . ხილ-კენკრვანი სახეობის ხე- მცენარე 3 ძირი:

12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 1 ძირი:

1 ძირი(№ 1) - ატამი (Prúnus pérsica).

2 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარე 2 ძირი:

2 ძირი(№ 2, 3) - ლელვი(Ficus carica).

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია საჭიროების შემთხვევაში:

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ნარგობის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ექსპერტი:

გიორგი ტივაძე














3





















წერილის ნომერი: **18-01221451004**
თარიღი: **25/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01221371129
წერილის თარიღი:	17 მაისი, 2022
განმცხადებელი:	გიორგი ჯანიაშვილი
განაცხადის N	AR1882374
მისამართი	ქ. თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, ნაკვეთი 16/098; ბაქტერიოფაგის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, ვახუშტის სახელობის ხიდის ჩასასვლელთან, გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი #11
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.13.016.150
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „აკვარიუმი 2010“ დამქირავებელი: შპს „მაგთიკომი“ მოიჯარე: სს მისო ევრო კრედიტი შპს „კლარეტ ფორიზონ თრეიდინგ (ევროპა)-ს ფილიალი საქართველოში“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ტოპო. გეგმა
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 21-ე, 25-ე, 26-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ ვინაიდან არ გამოსწორებულა სამსახურის 2022 წლის 10 მაისის #18-01221303720 წერილით დადგენილი ხარვეზები, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01221303720**
თარიღი: **10/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01221233212
წერილის თარიღი:	03 მაისი, 2022
განმცხადებელი:	გიორგი ჯანიაშვილი
განაცხადის N	AR1882374
მისამართი	ქ. თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, ნაკვეთი 16/098; ბაქტერიოფაგის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, ვახუშტის სახელობის ხიდის ჩასასვლელთან, გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი #11
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.13.016.150
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „აკვარიუმი 2010“ დამქირავებელი: შპს „მაგთიკომი“ მოიჯარე: სს მისო ევრო კრედიტი შპს „კლარეტ ფორიზონ თრეიდინგ (ევროპა)-ს ფილიალი საქართველოში“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	----------
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 21-ე, 25-ე, 26-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს, **მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა; მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით ხ(ეებ)ის სრულად ამსახველი (ფერადი) ფოტომასალა; ტოპო. გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის 3 მეტრიანი მანძილების აღნიშვნით; ინფორმაცია გადასარგავი/ მოსაჭრელი მწვანე ნარგავ(ებ)ის შესახებ.**

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01221643988**
თარიღი: **13/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-0122153254
წერილის თარიღი:	02 ივნისი, 2022
განმცხადებელი:	გიორგი ჯანიაშვილი
განაცხადის N	AR1882374
მისამართი	ქ. თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, (ნაკვეთი 16/098), ვახუშტის სახელობის ხიდის ჩასასვლელთან, გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი #11
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.13.016.150
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „აკვარიუმი 2010“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით ფოტოსურათები
დასკვნა: უარი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლი; კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“ ქვეპუნქტები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 21-ე, 21^1-ე, 21^2-ე, 25-ე მუხლები, დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“, ,,გ“, ,,დ“ ქვეპუნქტები.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან, განმცხადებლის მიერ გადასარგავად/მოსაჭრელად მოთხოვნილი მწვანე ნარგავი დიდტანოვანი ეგზემპლარია, ზრდასრული, ჯანსაღი მცენარეა და მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება ეკოლოგიური ბალანსის დაცვის მიზნით, ასევე, ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, ბუნებრივი გარემოდან ამოღებამ და ახალ ნიადაგში გადატანამ შესაძლოა გამოიწვიოს სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტა. მისი მოჭრის შემთხვევაში დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ეკოლოგიური წონასწორობა შესაბამისად, მწვანე ნარგავების გაჩეხვით გარემოზე გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად **სამსახურს ხემყრალას (#4-D=24) გადარგვა ან მოჭრა მიზანშეწონილად არ მიაჩნია.**

აღნიშნული ხე არსებული ფორმით უნდა შენარჩუნდეს ტერიტორიაზე და საპროექტო შენობა უნდა განთავსდეს ისე, რომ დაცული იყოს მოცემულ მწვანე ნარგავამდე 3 მ-იანი მანძილი.

ამდენად, სამსახური მას შემდეგ დააფიქსირებს საბოლოო პოზიციას, როდესაც დაინტერესებული პირი, ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად დააკორექტირებს პროექტს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი